

# რა ელის მოსახლეობის ანაბრებს?

გაზეთი “ალია” – 1-2 ივლისი, № 78 2008

დოლარის კურსი ვარდნას კვლავაც განაგრძობს. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა და საქართველოს ხელისუფლების არასწორმა პოლიტიკამ ჩვენი ბანკები აიძულა, საპროცენტო განაკვეთი არნახულ დონემდე გაეზარდათ. ამას კი მოჰყვა ის, რაც უნდა მოჰყოლოდა – აქციების გაუფასურება. პროფესორ ლადო პაპავას თქმით, ეს ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ საბანკო ბიზნესი უკვე წამგებიან მდგომარეობაშია. მართალია, ბატონი ლადო ამ ეტაპზე სისტემის ნგრევას კატეგორიულად გამორიცხავს, მაგრამ ეკონომიკური კრახის საფრთხე მაინც არსებობს.

– ბატონო ლადო, ბოლო ორი დღის განმავლობაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ ქართული ბანკების აქციები 11 პროცენტით დაეცა. თუ შეიძლება, აგვიხსენით, ეს რაზე მიანიშნებს, საბანკო სისტემის გაკოტრება იწყება?

– სიტყვა “გაკოტრება” ცოტა ხმამაღლა ნათქვამია, ეს უბრალოდ იმის გამოხატულებაა, რომ საბანკო სექტორს პრობლემები აქვს. როდესაც აქციების ფასი ეცემა, ყოველივე იმაზე მიანიშნებს, რომ აღნიშნული ბიზნესი დღეს მიმზიდველი აღარ არის. მოდი, ყველაფერი მარტივად ავხსნათ: ნებისმიერი კომპანიის აქცია ჩვეულებრივი საქონელია, ბაზარზე იყიდება და ფასი მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობით ყალიბდება. თუ ორგანიზაცია წარმატებულია, ბუნებრივია, მისი საქონელი ძვირდება, თუ წამგებიანია – იკლებს. თქვენ იცით, რომ ჩვენმა ბანკებმა საპროცენტო განაკვეთი გაზარდეს, მათ სხვა გზა არ ჰქონდათ და მივიღეთ ის, რაც უნდა მიგველო, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგრამ მოდით, პროგნოზებისგან თავი შევიკავოთ... მე მაინც ვთვლი, რომ ეს სისტემა საკმაოდ მდგრადია და გადარჩება.

– ამერიკაში იპოთეკური კრიზისი მძვინვარებს, ჩვენც აქეთ მივდივართ?

– იპოთეკური პრობლემები ჯერ საქართველოს არ დადგომია, მაგრამ ამის საფრთხე ნამდვილად არსებობს. ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა საბანკო ზედამხედველობის სამსახურის მუშაობაზეა, რომლის ფუნქციასაც ადრე ეროვნული ბანკი ასრულებდა. აუცილებლად დიდი ძალისხმევაა საჭირო, რათა რომელიმე ბანკი უწყურადღებოდ არ დარჩეს, არ გაკოტრდეს და

მოქალაქეები არ დაზარალდნენ, ამ შემთხვევაში მენაბრეებსა და იმ ადამიანებს ვგულისხმობ, რომლებსაც ანგარიშები აქვთ გახსნილი.

– სწორედ ეს მაინტერესებდა, რა ელის მათ დანაზოგებს, ესე იგი, ბანკების გაკოტრების საშიშროება მაინც არსებობს?

– ეგ საფრთხე ყოველთვის არსებობს, მაგრამ საბანკო ზედამხედველობის სამსახური სწორედ ამისთვის არის საჭირო, რომელიც მუდმივად მონიტორინგს და პრევენციულ ზომებს უნდა ატარებდეს. ეს სამსახური დღეს ფაქტობრივად ხელახლა იქმნება და ყველაზე დიდი ტვირთი მის ზურგზე გადავა.

– კი, ბატონო, რაღაც სამსახური იქმნება, მაგრამ ეს 100-პროცენტთან გარანტიას გვაძლევს?

– 100-პროცენტიანი გარანტია ბუნებაში არ არსებობს, მაგრამ თუ ეს სამსახური ბანკებში პრობლემებს გამოავლენს, შეიძლება სპეციალური პროგრამები მომზადდეს, რაც არა მხოლოდ ფინანსურ დახმარებას გულისხმობს, არამედ მენეჯმენტის გამოსწორებასაც.

– ბატონო ლადო, თქვენ იცით, რომ ჩვენ მკითხველების ინტერესებიდან გამოვდივართ. ახლა კონკრეტულად მითხარით: აქციების ფასის 11-პროცენტის ვარდნა ჩვენ, მოსახლეობას პანიკის საფუძველს გვაძლევს?

– დღეს იდეალურად დაზღვეული არავინ არ გახლავთ, მაგრამ მინდა, ჩემი სიგნალი, რომელსაც მოსახლეობას ვაძლევ, მკაფიოდ ჩამოვაყალიბო: ამ ეტაპზე რაიმე ისეთი საფრთხე არ არსებობს, თუ რომელიმე ბანკში პრობლემები შეიქმნება, ეს მხოლოდ ლოკალური ხასიათისა იქნება. მე ღრმად მჯერა, რომ კრიზისი მთელ საბანკო სისტემაზე არ გავრცელდება.

– ჩვენს მოსახლეობას ბანკებში ანაბრები აქვს შეტანილი, ბევრს ქონება აქვს დაგირავებული. მაინც გამოდის, რომ ალაგ-ალაგ პრობლემები იქნება.

– ვიმეორებ: მთელ სისტემას კრახი არ ემუქრება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცალკეულ ბანკებში პრობლემები არ იქნება. ასეთი რამ ქართულ ბაზარზე ყოველთვის იყო. მოსახლეობა უამრავი ფაქტორის გამო ისედაც ზარალობდა, ეს არის მაღალი ინფლაცია და კრედიტების ხელმიუწვდომლობა. უბრალოდ, მე არ მინდა დავიჯერო, რომ რაღაც რეალური საფრთხე გველის... ბოლო-ბოლო, ალბათ, მთავრობაც აცნობიერებს, რასთან აქვს საქმე. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ეროვნული ბანკი ძალიან დასუსტებულია, საშიშროების მოახლოებას ყველა აცნობიერებს. კარგად გამიგეთ, ახლა მე ის უფრო გამიადვილდება, რომ ვთქვა, ყველაფერი

ცუდადაა, ამათ ქვეყანა დაანგრის-მეთქი, მაგრამ ახლა ასეთი პოზიციიდან ლაპარაკი არ მინდა, ეს უარესი იქნება. ჩემი აზრით, დროა, ხელისუფლება კიდევ ერთხელ დაფიქრდეს იმის თაობაზე, რასაც ეროვნულ ბანკთან და ზედამხედველობასთან დაკავშირებით აკეთებს. როდესაც საბანკო სისტემაში პრობლემები იქმნებოდა, სიტუაციას ეროვნული ბანკი არეგულირებდა, ჩვენ 1995 წელს სპეციალური კანონიც მივიღეთ, მას შემდეგ არაერთი ბანკი გაკოტრდა, მაგრამ მოსახლეობა არ დაზარალებულა. ახლა პრობლემა სხვანაირად დგას – ჯერ ერთი, ეროვნულ ბანკს ფუნქციები ჩამოერთვა და მეორეც, ახლად შექმნილი სამსახური რას მოასწრებს, რას გააკეთებს, ვერ გეტყვით, აღარც ტრადიციულა შენარჩუნებული, აღარც გამოცდილება, ძველი კადრები საერთოდ გაუშვეს. აი, აქედან გამომდინარე, საფრთხეს ნამდვილად ვხედავ, მაგრამ, ალბათ, ამას ლაღო გურგენიძეც ხედავს და ვიმედოვნებ, რომ ლარის კუპონიზაციას არ დაუშვებს.

– ლაღო გურგენიძემ ამ ეტაპზე რა უნდა გააკეთოს, თქვენ რას ურჩევთ?

– მე რჩევას მივცემ არა რომელიმე კონკრეტულ პიროვნებას, არამედ მთავრობას და პარლამენტს: ამ ეტაპზე სერიოზული მხარდაჭერა უნდა გამოუცხადონ ზედამხედველობის სამსახურს, რათა ბანკებში პრობლემები არ გაიპაროს, თორემ ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდება. ასევე, ნულამდგა შესამცირებელი ყველა ის ხარჯი, რომელიც ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული.

– ბატონო ლაღო, გუშინ ბათუმში სუამის ქვეყნების მინისტრები ჩამოვიდნენ, დღეს ეკონომიკური და ენერგეტიკული საკითხები უნდა განიხილონ. როგორც ვიცით, პოლონეთის პრეზიდენტიც გვესტუმრა. თქვენი აზრით, რაიმე ხელშესახები წინსვლა იქნება?

– სუამი, პოსტსაბჭოთა სივრცის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმონაქმნი გახლავთ, რომლის წევრიც რუსეთი არ არის. აქ მხოლოდ საქართველო, უკრაინა, ზერბაიჯანი და მოლდოვაა. ჩემი აზრით, კარგია, რომ ამ ოთხმა სახელმწიფომ საკუთარი რეგიონული ინტერესები გამოხატა, მაგრამ სიმართლე გითხრათ, დღეს ეკონომიკური თანამშრომლობა არადამაკმაყოფილებელია, ერთმანეთთან სავაჭრო წილი ძალიან მცირეა. ერთადერთი ქვეყანა, რომელთანაც შედარებით გამოკვეთილი ურთიერთობა გვაქვს, ეს აზერბაიჯანია, ენერგეტიკული თვალსაზრისით. სხვათაშორის, ძალიან კარგია, რომ ამ საქმეში პოლონეთიც ჩაერთო, ბოლო-ბოლო, ეს

სახელმწიფო ევროკავშირისა და ნატოს წევრია, აღმოსავლეთ ევროპაში სიტყვა ეთქმის.

– მე მგონი, ამ საქმეში პოლონეთის მონაწილეობა მაინც სიმბოლური ხასიათისაა და საერთოდ, ხელისუფლებას რომ უსმინო, ყველა ეს ქვეყანა მათი მეგობარია, ცალცალკე ვერ დაელაპარაკებოდნენ? ლეს კაჩინსკი ორი კვირის წინაც აქ არ იყო? ამდენი ფული ამ სამიტებში რისთვის იხარჯება.

– ნათქვამია, პწკენა-პწკენით პატარძალი დაორსულდაო. რაც უფრო ხშირად იქნება ასეთი შეხვედრები, მე მგონი, მით უკეთესია.

– ჩვენ რა ხეირი?

– რა ვქნათ, ყველა შეხვედრას ქიშმიში არ მოსდევს, ამ შეხვედრის მთავარი მიზანი ის არის, რომ როგორმე რუსეთის გაულენის სფეროდან გამოვიდეთ.

**გელა ზედელაშვილი**